03/08/2021

# ილიაობის დღესთან დაკავშირებული მილოცვები



ილიაობის დღესთან დაკავშირებით მისმა უწმინდესობამ არაერთი მილოცვა მიიღო. ვაქვეყნებთ რამდენიმეს:

Μακαριώτατον
Πατριάρχην Γεωργίας κύριον Ἡλίαν,
Εἰς Τιφλίδα.

Μακαριώτατε ἀδελφέ καί συλλειτουργέ,

Ὑμνοῦμεν καί δοξολογοῦμεν τόν Θεόν τῆς ἀγάπης, τόν χαρισάμενον τῇ Ἁγίᾳ Αὐτοῦ Ἐκκλησίᾳ τήν Ὑμετέραν σεβασμίαν Μακαριότητα, δωρούμενον δέ ἡμῖν τήν χαράν ἀδελφικῆς ἐπικοινωνίας μεθ᾽ Ὑμῶν κατά τήν εὔσημον ἡμέραν τῶν Ὑμετέρων ὀνομαστηρίων.

Εἰς τήν παράδοσιν τῆς Ὀρθοδοξίας, αἱ ἑορταί εἶναι καιρός εὐχαριστίας, ἐν Ἐκκλησίᾳ, πρός τόν φιλανθρώπως πάντα οἰκονομοῦντα Κύριον τοῦ ἐλέους. Βιοῦμεν ἐν αὐταῖς τήν πανσωστικήν παρουσίαν τοῦ Θεοῦ εἰς τήν ζωήν τοῦ κόσμου, ἀναζωογονούμενοι καί ἐμπλουτιζόμενοι ὑπαρξιακῶς ἐν χαρᾷ ἐνθέῳ, ἐνδυναμούμενοι εἰς τήν διακονίαν τοῦ λαοῦ του Θεου καί προγευόμενοι της πεπληρωμένης χαρᾶς, τῆς πληρότητος ζωῆς καί γνώσεως ἐν τῇ Βασιλείᾳ τοῦ Πατρός καί τοῦ Υἱοῦ καί τοῦ Ἁγίου Πνεύματος, τῇ «ἀνεσπέρῳ καί ἀδιαδόχῳ καί ἀτελευτήτῳ ἡμέρᾳ».

Ἐν τῷ πνεύματι τούτῳ, ἀπευθύνομεν ὁλοθύμους εὐχάς καί προσρήσεις πρός τήν Ὑμετέραν περισπούδαστον ἡμῖν Μακαριότητα ἐπί τῇ ὀνομαστικῇ Αὐτῆς ἑορτῇ, δεόμενοι δέ τοῦ Σωτῆρος ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ, ὅπως χαρίζηται Ὑμῖν ὑγείαν ἀκλόνητον, ἀλκήν ἀκαταπόνητον καί δαψιλεῖς τάς ἄνωθεν δωρεάς καί εὐλογίας, πρός εὐκλεῆ καί εὔκαρπον συνέχισιν, ὡς μήκιστα, της Πρωθιεραρχικης Ὑμων διακονίας, ἐπ᾽ ἀγαθῷ τῆς καθ᾽ Ὑμᾶς Ἁγιωτάτης Ἐκκλησίας, συμπάσης τῆς Ὀρθοδοξίας καί της οἰκουμένης ὅλης, κατασπαζόμεθα τήν Ὑμετέραν πολυτίμητον Μακαριότητα φιλήματι ἁγίῳ καί διατελοῦμεν μετ᾽ ἐξαιδιασμένης τιμῆς καί βαθείας ἐν Κυρίῳ ἀγάπης.

Πολλά τά ἔτη Σας, Μακαριώτατε ἀδελφέ!

Ἀδελφός ἐν Χριστῷ ἀγαπητός καί ὁλοπρόθυμος

† ὁ Κωνσταντινουπόλεως Βαρθολομαῖος

---

Φανάριον, 20.07.2021

უნეტარესო ძმაო და თანამსახურო,

ვუგალობთ და განვადიდებთ სიყვარულის ღმერთს, რომელმაც მიჰმადლა მის წმინდა ეკლესიას თქვენი ყოვლად პატივცემული უნეტარესობა, და ჩვენ წილად გვარგუნა ბედნიერება, ძმური სიყვარულით მოგვემართა თქვენთვის თქვენი მოსახელე წმინდანის ხსენების ღირსშესანიშნავი დღის მოსალოცად.

მართლმადიდებელი ტრადიციით, დღესასწაულები ეკლესიაში არის -ყოველივეს კაცთმოყვარებით აღმშენებელი მწყალობელი უფლის - მადლიერების ჟამი; ამსოფლიურ ცხოვრებაში, მადლის მიერ, მათით განვიცდით ყოვლადმხსნელი ღმერთის მყოფობა; ღმერთში კვლავშობილნი და გამდიდრებულნი, ვძლიერდებით უფლის ერის მსახურებაში და მამისა და ძისა და სული წმიდის სამეფოში „მიუწვდომელი და შეუცვალებელი და დაუსრულებელი დღის" სრულყოფილი ცხოვრებისა და ცოდნის აღსავსე სიხარულს წინასწარ შევიგრძნობთ

თქვენი მოსახელე წმინდანის დღეს ამ სულისკვეთებით აღვავლენთ გულითად ლოცვებს, თქვენს ფრიად სასურველ უნეტარესობას გიძღვნით მილოცვებს და შევთხოვთ ჩვენს მხსნელს, იესო ქრისტეს, რათა მოგანიჭოთ ურყევი ჯანმრთელობა, მხნეობა, დაულევნელი ზეგარდამო მადლი და კურთხევა, თქვენს უმაღლეს პირველიერარქულ მსახურებაში დიდებული და კეთილნაყოფიერი გაგრძელებისათვის, ჩვენი წმიდა ეკლესიის, სრულიად მართლმადიდებლობის და მთელი მსოფლიოს საკეთილდღეოდ.

გეხვევით და გეამბორებით თქვენი უძვირფასესო უნეტარესობავ წმინდა ძმური ამბორით, განსაკუთრებული პატივისცემით და უფლისმიერი ღრმა სიყვარულით.

მრავალჟამიერ უნეტარესო ძმაო!

თქვენი ქრისტესმიერი და მუდამ თქვენს განკარგულებაში მყოფი თქვენი ძმა

**კონსტანტინეპოლის ბართოლომეოსი.**

**ფანარი 20.07.2021**

ПАТРИАРХ МОСКОВСКИЙ И ВСЕЯ РУСИ
КИРИЛЛ

«02» 08 2021 г.
№ 01/3020

115191, Москва, ул. Даниловский вал, д. 22

**ЕГО СВЯТЕЙШЕСТВУ И БЛАЖЕНСТВУ
СВЯТЕЙШЕМУ И БЛАЖЕННЕЙШЕМУ ИЛИИ II,
КАТОЛИКОСУ-ПАТРИАРХУ ВСЕЯ ГРУЗИИ**

**Ваше Святейшество и Блаженство,
возлюбленный о Господе Собрат и Сослужитель!**

Сердечно приветствую Вас и поздравляю с днем памяти святого славного пророка Божия Илии – Вашим тезоименитством.

Премудрый Творец и Податель всяческих благ возложил на Ваши рамена нелегкий крест Патриаршего служения, который уже более четырех десятилетий Вы несете с ревностью о славе Господней. Годы Вашего Первосвятительства ознаменованы процветанием Грузинской Церкви, твердо хранящей верность Истине Христовой и Священному Преданию.

Молитвенным ходатайством Вашего небесного покровителя да ниспошлет Господь Вашему Святейшеству и Блаженству крепость душевных и телесных сил и Свою неоскудевающую помощь в высоком Предстоятельском служении.

С братской любовью во Христе,

+ Кирилл

ПАТРИАРХ МОСКОВСКИЙ И ВСЕЯ РУСИ

მის უწმინდესობას და უნეტარესობას ილია II-ს,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს და
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს

დიდი წინასწარმეტყველი ელიას ლიტურგიული დღესასწაული მესაძლებლობას მაძლევს გამოვთქვა ჩემი გულითადი და საუკეთესო სურვილები თქვენი უწმინდესობის და უნეტარესობისადმი და დაგარწმუნოთ, რომ ვლოცავ ყოვლისშემძლე ღმერთის მიმართ, რათა მან მოგმადლოთ მშვიდობა, ჯანმრთელობა და სულიერი სიხარული. დაე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კვლავაც განმტკიცდეს რწმენასა და სიყვარულში, რათა პანდემიითა და მისი მძიმე შედეგებით ესოდენ გატანჯულ ადამიანებს აჩვენოს მოსიყვარულე და გულმოწყალე სახე მამისა. დაე, სულიწმინდის წინამძღოლობით, მართლმადიდებლებმა და კათოლიკეებმა კვლავაც მეგობრული სულისკვეთებითა და ერთობით იღვაწონ ჩვენი გაჭირვებული ძმებისა და დების სასიკეთოდ. ამ გრძნობებით აღსავსე, გთხოვთ მომიხსენიოთ თქვენს ლოცვებში და უფლისეული მშვიდობის ძმურ ამბორს ვუძღვნი თქვენს უწმინდესობას და უნეტარესობას.

პაპი ფრანცისკე

წმიდა საყდრის სადესპანო
საქართველოში

APOSTOLIC NUNCIATURE
IN GEORGIA

თბილისი, 21 ივლისი, 2021 წ.

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,

საქართველოში დროებით არმყოფი წმიდა საყდრის დესპანის სახელით, პატივი მაქვს გადმოგცეთ თანდართული წერილი, რომელიც თქვენს უწმიდესობას გამოუგზავნა რომის პაპმა ფრანცისკემ.

უღრმესი პატივისცემით,

მამა ჯუზეპე ლატერცა
მრჩეველი

---

მის უწმიდესობას და უნეტარესობას
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს და
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს
ილია II-ს
თბილისი

(დანართით)

patriarchate.ge